„ყური დაუგდეთ, ასპინძის ადგილის დედა ჩურჩულობს...”

ლევან სვანიანი

ასპინძის სიახლენი

ასპინძის მუნიციპალიტეტი * აპრილი. 2025 * (2)105

ინტერვიუ

ასპინძას პიდევ უფრო უკეთესს გავხდით!

როსტომ მაგრაქველიძე

დამთავრდა 2025 წლის პირველი კვარტალი. განახლდა მუნიციპალიტეტის მასშტაბით ბიუჯეტით გათვალისწინებული პროექტების განსახორციელები სამუშაოები. მოსახლეობა, ალბათ, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც კიდევ უფრო მეტ სიახლეებს უნდა ელოდოს მიმდინარე წელს.

გაზეთ „ასპინძის სიახლენის“ დღევანდელი ნომრის სტუმარია ასპინძის მუნიციპალიტეტის მერი როსტომ მაგრაქველიძე, რომელსაც, ვთხოვეთ ეპასუხა კითხვებისთვის, რომლებიც, უპირველესად, ბევრის ინტერესებშიც შედის და, ალბათ, მისი პასუხები სწორ წარმოდგენას შეუქმნის მკითხველ საზოგადოებას იმაზე, თუ როგორი იქნება ასპინძელებისთვის 2025 წელი, რას უნდა ველოდოთ ჩვენი ცხოვრების ახალ ეტაპზე.

ბატონო როსტომ, გთხოვთ ჩვენი გაზეთის მკითხველს მიაწოდოთ კონკრეტული ინფორმაცია წლევანდელი ბიუჯეტის მთავარ პრიორიტეტად რას მიიჩნევთ, გასულ წელს რამდენი იყო ადგილობრივი შემოსავლები და დამატებით რა ტრანსფერი გამოგეყოთ დასახული მიზნების განხორციელებისათვის? ძირითადად რას მოხმარდა იგი?

– 2025 წელს, ისე როგორც გასული წლების შემთხვევაში, ჩვენი მიდგომები და პრიორიტეტები ძირითადად მოსახლეობის სურვილებზე და საჭიროებებზეა მორგებული. ესენია როგორც მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, ახლის მშენებლობა, ასევე ჯანდაცვა, განათლება, სპორტი, კულტურა, რელიგია, დასასვენებელი და რეკრეაციული ზონების მოწყობა.

თებერვლის თვეში დავასრულეთ მოსახლეობასთან შეხვედრები და სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული პროექტების შერჩევა-შეფასების პროცედურები. მოსახლეობის აქტიური ჩართულობით გამოირჩა ის საჭიროებები, რომლებიც ამჟამად აწუხებს მას. ვიღებთ ვალდებულებებს, რომ მიმდინარე წელს შესრულებული იქნება მათ მიერ შერჩეული ის პრიორიტეტული პროექტები, რომელთა შესასრულებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილია 294 000 ლარი. რასაც დაემატება ადგილობრივი ბიუჯეტით განსაზღვრული სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილი 588 000 ლარი. შერჩეული პროექტების ჩამონათვალი კი მრავალფეროვანია, კერძოდ: შიდა სასოფლო გზები, გზის საყრდენი კედლებისა და სანიაღვრე არხების მოწყობა, სასმელი და სარწყავი წყლების რეაბილიტაცია, სოფლის ხიდების რეაბილიტაცია, სპორტული ინფრასტრუქტურისა და გარე განათების მოწყობა, საირიგაციო სატუმბი სადგურების საჭირო ინვენტარით აღჭურვა, სველი წერტილების მშენებლობა და სხვა. ეს ყველაფერი იმის წინაპირობაა, რომ სოფლად მცხოვრები ჩვენი მოქალაქეების საცხოვრებელი და საყოფაცხოვრებო პირობები საგრძნობლად გაუმჯობესდება.

წლევანდელი ბიუჯეტი რამდენით აღემატება გასული წლის ბიუჯეტს და პრიორიტეტები რა მიმართულებით გაქვთ მიმართული?

– გასული წლის ბიუჯეტი გეგმით გათვალისწინებული იყო 20 089,6 ათასი ლარი, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 17 884, 3 ათასი ლარი.

2025 წლის ბიუჯეტი დაგეგმილია 23 173 664 ლარით, გასულ წელთან შედარებით გაიზარდა 3 084 064 ლარით, კერძოდ, ეს თანხა გაიზარდა ინფრასტრუქტურაში, კულტურული ობიექტების მშენებლობაში, სოციალური პროგრამებში, დასუფთავებასა და სკოლამდელი აღზრდის სფეროში.

მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი 2024 წელს შეადგენდა 12 791.6 ათასი ლარს.

რეგიონული განვითარების ფონდიდან ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად გამოიყო 4.944 338 ლარი და სულ განხორციელდა 14 პროექტი, გამოყოფილი თანხიდან შესრულდა 4 154 463 ლარის სამუშაო.

მათ შორის: სოფლის პროგრამისათვის გამოიყო 869 200 ლარი (294,0 ათას ლარს+575,2 ათასი ლარი) განხორციელდა 21 პროექტი, შესრულდა 825,2 ათასი ლარის სამუშაო; ჯანმრთელობის დაცვა დაფინანსდა 183,8 ათასი ლარით; სოციალური დახმარება – 650,8 ათასი ლარით, ფინანსური დახმარება გაეწია 884 ბენეფიციარს.

იქნებ ზუსტი ინფორმაცია მივაწოდოთ ასპინძელებს, ყველაზე მასშტაბურ (ძვირადღირებულ) პროექტებად მიმდინარე წელს რომელს მიიჩნევთ და თანხობრივად რამდენი ლარია მათზე გამოყოფილი?

– მიმდინარე წელს დაბა ასპინძაში ერთი -ერთი ყველაზე ძვირადღირებული პროექტია სანაპროს ქუჩის რეაბილიტაციის პროექტის II ეტაპი, რომლის სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 878 000 ლარს.

გასულ წელს დაწყებული რამდენიმე პროექტის დამთავრება ამ წლისთვის იქნა გადმოტანილი, რამ განაპირობა მათი შეუსრულებლობა? მხედველობაში მაქვს ერეკლე მეორისა და სანაპიროს ქუჩებზე მიმდინარე სამუშაოები. როდის უნდა ველოდოთ მათ დამთავრებას?

– 2024 წელს დაწყებული პროექტებიდან მხოლოდ ორი პროექტი გადმოვიდა 2025 წელს, რომლებიც გაგრძელდება მიმდინარე წელს: ესენია სანაპიროს ქუჩის რეაბილიტაცია (პირველი ეტაპი) და ერეკლე II ქუჩის რეაბილიტაცია. პროექტების მიმდინარე წელს გადმოტანა განაპირობა დაბა ასპინძაში სასმელი წყლის შიდა ქსელის დაგეგმილმა რეაბილიტაციამ, სამშენებლო სამუშაოები 2025 წლისთვის იმ მიზეზით იყო გადმოტანილი, რომ აღნიშნულ ქუჩებზე მოწყობილი ინფრასტრუქტურა (ტროტუარები, სანიაღვრე არხები, ასფალტის საფარი და ა.შ) არ დაზიანებულიყო მილსადენის გაყვანისას. ორივე პროექტის დასრულება დაგეგმილია წლის ბოლომდე.

მსგავსად აღნიშნული ქუჩების თანამედროვე სტანდარტებით მოწყობისა, წელს თუ გაქვთ განსაზღვრული სხვა პროექტების განხორციელება და რომელი ქუჩების რეაბილიტაცაა დაგეგმილი. ასევე მომავალშიც გააგრძელებთ თუ არა ამ მიმართებით პროექტების განხორციელებას?

გაგრძელება მე–2 გვ.

მუნიციპალიტეტის საკრებულოში

გაიმართა ასპინძის მუნიციპალიტეტის მორიგი სხდომა.

საკრებულოს სხდომის ფარგლებში დეპუტატებმა განიხილეს დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

„ასპინძის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი გადასახადების შემოღებისა და გადასახადების განაკვეთების განსაზღვრის შესახებ“ ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 05 ივნისის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხს: ბ. ბერიძე; ა. ტივაძე; გ.ჯვარიძე;

ასპინძის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული იმ დასახლებების ნუსხის დამტკიცების შესახებ, სადაც სავალდებულო არ არის ავტოსადგურიდან რეისის გასვლა და საიდანაც ხორციელდება საქალაქთაშორისო რეგულარული სამგზავრო გადაყვანა;

მომხს: ბ. ბერიძე; გ.ჯვარიძე;

ასპინძის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (სოფელ თმოგვის ამბულატორიის) ა(ა)იპ-„საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი“- სათვის უზურფრუქტის ფორმით გადაცემაზე, ასპინძის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე;

მომხს: ბ. ბერიძე; ა. ტივაძე; გ.ჯვარიძე;

ასპინძის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების – კლუბის შენობების უზურფრუქტის ფორმით, ა(ა)იპ „ასპინძის სახელოვნებო და სამუზეუმო დაწესებულებათა გაერთიანება - კულტურის ცენტრი“- სთვის გადასაცემად, ასპინძის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე;

მომხს: ბ. ბერიძე; ა. ტივაძე; გ.ჯვარიძე;

ასპინძის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე იჯარის ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის შესახებ, ასპინძის მუნიციპალიტეტის მე-

რისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე (ვლადიმერ ქამაშიძე);

მომხს: ბ. ბერიძე; გ.ჯვარიძე;

2025 წელს ასპინძის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტის მოწონების თაობაზე;

მომხს: ბ. ბერიძე; ა. ტივაძე; გ.ჯვარიძე;

2025 წელს ასპინძის მუნიციპალიტეტში, მთის ფონდიდან განსახორციელებელი პროექტების ფარგლებში, განსახორციელებელი პროექტის მოწონების თაობაზე;

მომხს: ბ. ბერიძე; ა. ტივაძე; გ.ჯვარიძე;

ასპინძის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების თაობაზე;

მომხს: ბ. ბერიძე; ა. ტივაძე; გ.ჯვარიძე;

ასპინძის მუნიციპალიტეტის 2024 წლის წლიური ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის განხილვისა და შეფასების შესახებ;.

მომხს: ბ. ბერიძე; ა. ტივაძე; გ.ჯვარიძე;

აღნიშნული საკითხების დაამტკიცების შემდეგ დეპუტატები გაეცნენ ინფორმაციას: ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გაფორმებულ ხელშეკრულებები (N13-დან 34-ის ჩათვლით) სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.

სხდომას თავმჯდომარეობდა ბესიკ ბერიძე.

მაკა ბერიძე

პირველი გვერდიდან

– ჭავჭავაძისა და მესხეთის ქუჩების სარეაბილიტაციო (საყრდენი კედლების, ტროტუარების, სანიაღვრე არხების, გამწვანების, ასფალტის დაგების და სხვა) სამუშაოები, რომლის ღირებულება შეადგენს 1 018 071 ლარს.

გურამიშვილის ქუჩაზე ღობეების მოწყობა და 950 მეტრი სიგრძის გაზსადენის დემონტაჟი; აქვე მოეწყობა მიწისქვეშა პოლიეთილენის გაზსადენის მილის მონტაჟი რაზეც შესრულებული იქნება 906 965 ლარის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები. გათვალისწინებული გვაქვს მომავალშიც ანალოგიურად გაგრძელდეს სხვა ქუჩებზე ამ მიმართებით პროექტების განხორციელება.

დაბაში ინტენსიურად მიმდინარეობს სასმელი წყლის შიდა ქსელის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები. როდისთვისაა განსაზღვრული მისი დამთავრება და რას უნდა ელოდოს ასპინძელი მომხმარებელი ამ პროექტის დამთავრების შემდეგ?

– სასმელი წყლის სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულება დაგეგმილია 2026 წლისათვის, რის შედეგადაც მოსახლეობა მიიღებს 24 საათიან ხარისხიან წყალს.

სოფლის განვითარების პროგრამის ფარგლებში ბოლო წლებში ბევრი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა. დაბა დაბას დაემგვანა, სოფელი სოფელს. მოსახლეობაც კმაყოფილია და, დასამალი არაა, რომ უცხო თვალი ამას აშკარად ხედავს და აფასებს. 2025 წლისთვის, ცხადია, ეს პროგრამა კვლავ გაგრძელდება, რაზეც ამა წლის იანვარ-თებერვალში სოფლის მოსახლეობასთან თქვენი და ადგილობრივი



თვითმმართველობის წარმომადგენელთა ინტენსიური შეხვედრებიც მეტყველებს. გვაინტერესებს, წინა წელთან შედარებით ამ პროგრამის დაფინანსება გაიზარდა თუ არა და რამდენს ითვალისწინებს იგი?

– სოფლის განვითარების პროგრამის ფარგლებში ბოლო წლებში ბევრი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა. 2025 წლისათვის პროგრამა კვლავ გრძელდება. თანხები, სამწუხაროდ, ამ ეტაპზე, არ გაზრდილა. მთავრობის მიერ გამოყოფილია ჯერ-ჯერობით, 294 000 ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტიდან – 588 000 ლარი.

სოფლის მოსახლეობის დიდი ნაწილი კმაყოფილია სოფლად მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისათვის, ყველა სოფელში გაკეთდა მისასვლელი და შიდა გზები, მოეწყო გარე განათება, დაიდგა სანაგვე ურნები, დაცულია სისუფთავე, კეთდება მოსაცდელები, სანიაღვრე არხები, გაბიონები, თუმცა გვაქვს, ე.წ. დარჩენილი „კუდები“, კერძოდ, სოფლად მისასვლელი გზებისა. გამოყოფილია თუ არა ასიგნებანი მათი დამთავრებისთვის?

– ამ პერიოდისთვის უკვე დაკონკრეტებულია და ხელმოწერილია რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მნიშვნელოვანი პირველი ეტაპისთვის (9 პროექტისთვის) თანხების გამოყოფა, რომელიც ჯამში 4 394 855 ლარია, მათ შორის:

სოფელ რუსთავში შიდა გზების რეაბილიტაცია - 834 760 ლარი;

სოფელ ოშორაში მისასვლელი გზის რეაბილიტაცია - 1 577 958 ლარი;

სოფელ დამალაში შიდა გზების რეაბილიტაცია - 500 000 ლარი;

სოფელ ნაქალაქევში შიდა გზების რეაბილიტაცია - 450 000 ლარი;

სოფელ გელსუნდის შიდა გზების რეაბილიტაცია 200000 ლარი;

სოფელ აწყვიტის შიდა გზების რეაბილიტაცია 900 000 ლარი;

სოფელ ფიის შიდა გზების რეაბილიტაცია 491 000 ლარი;

სოფელ ხერთვისის შიდა გზების რეაბილიტაცია 244 602 ლარი.

2025-2028 წლებში მუნიციპალიტეტის სოფლებში საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციისთვის სულ გათვალისწინებულია 6 998 320 ლარის გამოყოფა.

განათლების, კულტურისა და სპორტის განვითარების მიზნით რა გაქვთ გათვალისწინებული?

განათლება

მომავალი თაობის აღზრდის მიმართულებით, დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელი განათლების განვითარებას. იგი მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება. ამ პროგრამის მიზანია სასკოლო განათლებისთვის ნორჩი აღსაზრდელების მომზადება, მათი ფიზიკური გონებრივი და ზნეობრივი აღზრდა, შემოქმედებითი შესაძლებლობების და ინტერესების ხელშეწყობა.

აღნიშნული მიმართულებით მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ა(ა)იპ ასპინძის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება, რომლის დაქვემდებარებაშია ექვსი საბავშო ბაღი.

2025 წელს განათლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვრა 1 600 000 ლარი.

კულტურა

მუნიციპალიტეტი კულტურული ტრადიციების დაცვასა და ამ ტრადიციების ღირსეული გაგრძელების ხელშეწყობის მიზნით კვლავ გაგრძობს კულტურული ღონისძიებების ფინანსურ მხარდაჭერას.

აღნიშნული მიმართულებით მუნიციპალიტეტში 2025 წლისთვის ფუნქციონირებს სამი ა(ა)იპ, კერძოდ:

ა(ა)იპ - ასპინძის სახელოვნებო და სამუზეუმო დაწესებულებათა გაერთიანება - კულტურის ცენტრი, რომლის დაფინანსებაც შეადგენს 300 000 ლარს.

ა(ა)იპ - ასპინძის მთავარი ბიბლიოთეკა, რომლის დაფინანსებაც შეადგენს 120 000 ლარს.

ა(ა)იპ - ვ. მაღრაძის სახელობის ასპინძის სამუსიკო სკოლა, რომლის დაფინანსებაც შეადგენს 180 000 ლარს.



სპორტი და ახალგაზრდობა

ასევე მუნიციპალიტეტი მომავალი თაობის აღზრდის მიმართულებით, კვლავ აგრძელებს წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და მათთვის შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ახალგაზრდებმა შეძლონ საკუთარი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება, ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ჩატარება.

აღნიშნული მიმართულებით მუნიციპალიტეტში ფუნქციეონირებს: ა(ა)იპ - ასპინძის სასპორტო გაერთიანება, რომელიც დაფინანსდა 205 000 ლარით.

ა(ა)იპ - სამცხე-ჯავახეთის რეგიონული სარაგბო კლუბი „ტაო,“ რომლის დაფინანსებაც შეადგენს 80 000 ლარს.

ასპინძის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის განვითარების სამსახური ყოველწლიურად, თავისი პროფილიდან გამომდინარე, ახორციელებს კალენდარული გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებებს, რომელსაც ძირითადი აქცენტი გადატანილი აქვს კულტურული, შემეცნებითი და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების ორგანიზებაზე, ეწევა ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას ახალგაზრდა თაობაში.

სამსახურის სპორტული ღონისძიებების ხელშეწყობისათვის მიმდინარე წელს მათი დაფინანსება შეადგენს 22 000 ლარს, ხოლო ახალგაზრდული, კულტურული ღონისძიებებისათვის - 200 000 ლარს.

აღნიშნული დაფინანსებით ხორციელდება სპორტის მიმართულებით სხვადასხვა სახის ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზება, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, საზოგადოების აქტიური ჩართვა სპორტულ ცხოვრებაში;

ახალგაზრობის მიმართულებით მუნიციპალიტეტში სადღესასწაულო დღეებზე ღონისძიებების, ფესტივალების, სახალხო დღესასწაულების ორგანიზება, გასართობი და შემოქმედებითი საღამოების ორგანიზება; კულტურული, ახალგაზრდული პროექტების თანადაფინანსება; წარმატებული შემოქმედებითი ახალგაზრდებისა და ჯგუფების წახალისება; კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და შენარჩუნება; კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიზნით ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა. მოსწავლე- ახალგაზრდებში, ცნობიერების დონის ამაღლება წიგნიერების, კულტურული მემკვიდრეობის, გარემოს დაცვისა და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის კუთხით;

მათი განვითრებისათვის ახალგაზრდების სამოქალაქო აქტივობებში ჩართულობა და მათში მოტივაციის გაზრდა, საგანმანათლებლო ღონისძიებებში აქტიური ჩართვა და წახალისება, სასცენო ხელოვნების და თეატრის პოპულარიზაცია, ასევე მოიცავს სხვადასხვა კულტურულ, საგანმანათლებლო ღონისძიებების ორგანიზებას და სხვას.

ეს წელი ადგილობრივი თვითმმართველობის საარჩევნო წელია. ცხადია, თქვენი მუშაობაც ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების მიზნით დიდ შრომას და აქტივობას მოითხოვს. ხედავთ თუ არა რაიმე დამაბრკოლებელ გარემოებებს, მუშაობა ჩვეული მონდომებით რომ წარმართოთ? სახელმწიფოს მხრიდან იგეგმება თუ არა დამატებითი ტრანსფერების გამოყოფა და რას მოხმარდება იგი.

– დიახ, ეს წელი საარჩევნო წელია და ქვეყნის მასშტაბით ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები გაიმართება. გულწრფელად მინდა გითხრათ, რომ ეს ჩვენ მეტ მოტივაციას და პასუხისმგებლობას გვიჩენს მიმდინარე წელს დაგეგმილი სამუშაოების შესრულების ნაწილში. რაც შეეხება არჩევნებს, შედეგები ამომრჩევლის გადასაწყვეტია. სახელმწიფოს მხრიდან დამატებით ტრანსფერების გამოყოფა კი, ბუნებრივია, აუცილებლად იქნება ისე, როგორც, ყოველთვის, ბოლო რამდენიმე წელია, დამატებით თანხებს ვლებულობთ, რათა შეუფერხებლად მოვახდინოთ დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება.

დამატებით კიდევ რას ეტყოდით ჩვენი გაზეთის მკითხველს?

– მინდა დიდი სიამაყით გითხრათ, რომ საკმაოდ ამბიციური და მოსახლეობის კეთილდღეობაზე ორიენტირებული სამომავლო გეგმები გაგვაჩნია იმისათვის, რომ თითოეული ასპინძელის ცხოვრება, განათლება, ჯანდაცვა, ყოველდღიურად იცვლებოდეს უკეთესი მომავლის იმედით. თითოეულ ასპინძელს კი ვუსურვებ მშვიდობას, კეთილდღეობასა და წარმატებებს ჩვენი და ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში.

გმადლობთ, ბატონო როსტომ საინტერესო საუბრისათვის.

ინტერვიუს უძღვებოდა

ავთანდილ ბერიძე

ფულადი დახმარება მრავალშვილიან დედებს

3 მარტს, დედის დღეს, ასპინძის მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ მაგრაქველიძემ და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მრავალშვილიან დედებს და მათ ოჯახებს დედის დღე მიულოცეს და საჩუქრად ყვავილები გადასცეს. ამ დღესთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 79 მრავალშვილიან ოჯახს, რომელთაც ჰყავთ ოთხი და მეტი არასრულწლოვანი შვილი (18 წლამდე ასაკის ან/და 23 წლამდე სტუდენტი ან მოსწავლე) ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიისაგან, მოქალაქეთა სოციალური და ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში, ჯამში 49 000 ლარის ერთჯერადი ფულადი დახმარება გაეწია: მათ შორის ოთხშვილიან დედებს 600 - 600 ლარი, ხუთშვილიან დედებს 700 - 700 ლარი, ექვსშვილიანებს 800 - 800 ლარი, შვიდ და მეტშვილიან დედებს 1500 -1500 ლარი.

დაუნის სინდრომის დღე აღნიშნეს

21 მარტს, ასპინძის მუნიციპალიტეტის მერია დაუნის სინდრომის შესახებ ცნობადობის ამაღლების საერთაშორისო დღეს შეუერთდა. აქციის ფარგლებში, ასპინძის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ ლევან ბერიძემ, საკრებულოს თავჯდომარემ ბესიკ ბერიძემ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად მუნიციპალიტეტში მცხოვრები დაუნის სინდრომის მქონე ბავშვები მოინახულეს და საჩუქრად სათამაშოები გადასცეს.

ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიისაგან, მოქალაქეთა სოციალური და ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში, ერთჯერადი ფულადი დახმარება, 400-400 ლარის ოდენობით, გაეწიათ მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ დაუნის სინდრომის მქონე 18 წლამდე ასაკის 5 აღსაზრდელს.

წლევანდელი კამპანიის გზავნილია „გააუმჯობესე ჩვენი მხარდამჭერი სისტემები!“

საჩუქრად წიგნები გადაეცათ

წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით, ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიამ დაბის N1 და N2 საბავშვო ბაღებს საჩუქრად წიგნები შეურჩია.

აღსაზრდელებს საჩუქრები მერიის კულტურის სამსახურის ხელმძღვანელმა ოთარ ცინაძემ და ა(ა)იპ ასპინძის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორმა ელისო ბექაურმა გადასცეს. ღონისძიების ფარგლებში უფროსებმა პატარებს წიგნებიდან ამონარიდები წაუკითხეს. ღონისძიება მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის განვითარების სამსახურის ორგანიზებით გაიმართა.

ქრისტე აღსდგა!

ქრისტე აღსდგა, მაგრამ აღსდგა-კი კაცთა საზოგადოებაო? – ეჭვითა და ჭმუნვით ეკითხება თავის მსმენელებს ერთი მჭერმეტყველი მქადაგებელი ლოტრანგთა მოძღვებისა. მართლაცდა, ქრისტე-კი აღსდგა, სიკვდილით სიკვდილი დასთრგუნა და ცხოვრება მოგვანიჭა, მაგრამ ჩვენ... ჩვენც აღვსდეგით, სულით ავმაღლდით, ზნით განვახლდით? ..

ეკკლესია ჰღაღადებს, რომ ქრისტეს აღდგომა უდიდესი ამბავია, დღესასწაულთა დღესასწაულია. მართლაც რომ ასეა. დღევანდელ დღეს ზეციურმა მხსნელმა სიკვდილით სიკვდილი შემუსრა, ბნელი სძლია და ნათელი მოჰფინა კაცობრიობას. ხოლო სიკვდილით სიკვდილი ქრისტემ კიდევ იმით დასთრგუნა, რომ აღიღო ჯვარი თვისი, ტვირთად იდვა საშინელი ტანჯვა და კაცობრიობას ანდერძად და მაგალითად დაუტოვა, – ბოროტისაგან ხსნა და ცხონება გარეშე ჯავრისა და ტანჯვისა არა არისო. ვისაც კეთილი და სათნოება უყვარს, ვინც სიმართლისა და ჭეშმარიტებისთვის იბრძვის, იგი მზად უნდა იყვეს, აღიღოს ჯვარი თვისი და მე შემომიდგეს: თუ საჭიროა, ჩემსავით იწამოს, იწვალოსო...

აღდგომას წინ უძღოდა მოწამეობრივი ტანჯვა და ვაება, კაცობრიობის სახსნელად მაცხოვარმა ეკლის გვირგვინი თავზედ დაიდგა. აი, აქ არის უღრმესი აზრი დღევანდელ დღესასწაულისა! ვისაც ქვეყნიერად სიმართლისა და ჭეშმარიტების დამყარება ჰსურს, ვინც ქრისტეს დიადს მოძღვრებას მისდევს და ძმობასა და ერთობას ესწრაფვის, იმან ჯვარიც უნდა აღიღოს და მოწამებრივს ეკლიანს გზას დაადგეს. ტყუილად-კი არ შეუმკეს ზეციურს მოძღვარს თავი ეკლის გვირგვინით. მხოლოდ ეკლის გვირგვინის ზიდვით, მხოლოდ ტანჯვითა და ვაებით შესაძლოა დამყარდეს ცოდვილ ქვეყანაზე ესოდენ უარყოფითი სიმართლე. მთელი ისტორია კაცობრიობისა ამას ამტკიცებს. რამდენჯერ ჯვარს ეცვა ერი და საზოგადოება და რამდენჯერ შეიმოსა ეკლიან გვირგვინით, ოღონდ-კი მცირეოდენ სიმართლეს მაინც მიჰღწეოდა!..

დიაღ, ჯვარის ტვირთად აღება უდიდესი ზნეობრივი მოვალეობაა, რომელიც იდეალად და მცნებად აღბეჭდილი უნდა ჰქონდეს თითოეულ ზეგარდმო მადლით ცხებულ მოღვაწეს, რომელსაც წილად ჰხვდა ერისა და საზოგადოების ხსნა და მისი წინამძღოლობა. ასეთს მოღვაწეს ჯვარი და ეკლის გვირგვინი არა თუ უნდა აშინებდეს და გულს უტეხდეს, არა თუ სასოწარკვეთილებას და სულ-მოკლეობას უნდა უნერგავდეს, არამედ უფრო უნდა ამხნევებდეს, ძალასა და ღონეს ჰმატებდეს, უფრო იმედსა და სასოებას უღვიძებდეს, ვინაიდგან მხოლოდ ამ საშუალებით შეიძლება ერის სულით აღდგომა, განღვიძება, განახლება. და ვაი იმ საზოგადოებას, რომელიც ზნით იქამდე დაცემულა, რომ ჯვრის მტვირთველი და ეკლის გვირგვინის მზიდველი არ მოეპოვება! ასეთი საზოგადოება თუ ერი, ადრე თუ გვიან, აუცილებლად სულითაც და ხორცითაც წარსწყდება და დაიღუპება.

ჩვენდა სანუგეშოდ, ჩვენს სამშობლოში არასოდეს არ მოსპობილა სურვილი ჯვარის აღებისა და ეკლიან გვირგვინის ზიდვისა. ჩვენი პატარა ქვეყანა დიდი აკლდამა და სავანე ყოფილა სამშობლოსათვის გვემულთა, წამებულთა და დევნილთა. მართალს ამბობენ ჩვენნი მეცნიერნი და მეისტორიენი, რომ საქართველოს წარსული ბრწინვალე მარტიროგიაააო... დიაღ, ქართველი არასოდეს არ გაფრთხობია არც ჯვარის ტვირთსა და არც ეკლის გვირგვინის ზიდვას. სულით და გულით მხნე და ძლიერი ივერი ტანჯვასა და წვალებას მამაცურად იტანდა, როცა ეს საჭირო იყო სამშობლოს საკეთილდღეოდ და უმთავრესი მიზეზიც ეს არის, რომ ძველი ივერი „ერად სდგა სხვათა ერთა შორის“... მართალია ახლა უფრო თავ-კერძოობაა გალაღებული, მაგრამ ქრისტეს მიერ ნაანდერძევი ზნეობრივი მოვალეობა – აღიღეთ ჯვარი და შემომიდეგითო – მაინც აღმოფხვრილი არაა.

არა და არა! ივერი სულითაც და ხორცითაც ჯერ ისევ ძლიერია, ჯერ ისევ სიცოცხლით სავსეა, ჯერ ისევ მადლით ცხებულია...საჭიროა მხოლოდ, პოეტის თქმისა არ იყოს, –

სულით განვახლდეთ
და განქრეს ბნელი უმეცრებისა!
მაშ, ქრისტე აღსდგა!

„ივერია,“ 1902 წელი, N80

აღდგომა და წითელი კვერცხი

(თარგმნილი)

დღესასწაული დიდის, ბრწინვალე პასექისა უმეტესად სასიხარულოა ყოველ ქრისტეანი ერისათვის, იგია ჭეშმარიტად „დღესასწაულთა დღესასწაული“ თავის დიდის რელიგიურის მნიშვნელობით. ერი მოუთმენლად მოელის ამ ბედნიერ დღეს და დიდის სიხარულით ეგებება; ამ სიხარულს თითქო თვით ბუნებაც თანაუგრძნობს, თვითონაც ახლდება, იმოსება ხასხასის მწვანითა, მხიარულობს.

იმ დროს, როცა ჩვენ ვდღესასწაულობთ წმ. პასექს, ყველა წარმართმა იცოდა დღესასწაული ძველად გაზაფხულის პატივსაცემად. ძველი გერმანელები გაზაფხულზედ დღესასწაულს ჰმართავდნენ ესრედ წოდებულ „ოსტარი“-სას (ღმერთი გაზაფხულისა); ესევე სახელი ეწოდებოდა მაშინ აპრილის თვეს (Ostermonat), ხალხს მიჰქონდა მსხვერპლად გაზაფხულის ღმერთისათვის პირველი მაისის ყვავილები. დღესაც გერმანელები პასექს უწოდებენ „Ostern“-ს.

ძველ საბერძნეთში დღესასწაულობდნენ გაზაფხულის დროს ესრედ წოდებულ „ხარისტი“-ს უქმეებს; ამ დღეებში შეიკრიბებოდნენ ნათესავები, ურიგებდნენ ერთმანეთს საჩუქრებს და იხსენებდნენ თავიანთ მიცვალებულთ.

სპარსეთში, ძველ დროს, გაზაფხულზედ დღესასწაულობდნენ ახალწლის დაწყებას და იმ დროს ბუნების განახლებისას, ატარებდნენ დიდის მხიარულებით. ბედნიერ დღეების დადგომას თოფის სროლით აუწყებდნენ ხალხს. ვარსკვლავთ-მრიცხველნი, მიეჩქარებოდნენ მეფის სასახლეში, ანუ ქალაქის მმართველთან. ისმოდა ყველგან ხმა ნაღარისა და საყვირისა, სიმღერა მომღერალთა.

ისპაჰანში იგივე დღესასწაული რვა დღეს გასტანდა ხოლმე. მთელი ქალაქი სიხარულს და ჟრიამულს ეძლეოდა. სპარსელები ამ ბედნიერ დღეებს უწოდებდნენ ახალ ტანისამოსის დღესასწაულსაც, რადგან თვითეული ბეჩავ-საწყალიც-კი ახალს ტანისამოსს იცვამდა ამ დღეებში. მდიდრებიც-კი სულ იმას სცდილობდნენ, დღეში რამდენჯერმე ჩაეცვათ ახალი ტანისამოსი, დაგვებედებაო.

გაზაფხულზედ-კი, ჩვენი აღდგომის დროს, ებრაელები ასრულებდნენ თავიანთ პასექს, რომელსაც დიდი და ღრმა რელიგიური მნიშვნელობა ჰქონდა. ძველი აღთქმის ეკკლესიაში სიტყვა პასექი ჰნიშნავდა – აქცევას, არიდებას. ებრაელნი დღესასწაულობენ პასექს მოსაგონებლად იმისა, რომ ანგელოსმა სიკვდილისამ მოსწყვიტა ერთ ღამეს ყველა პირმშო ეგვიპტისა, ხოლო დაიფარა და აარიდა ღმერთმა ეს მუსვრა სახლსა ისრაელისასა. ამ ღვთის რისხვის ასარიდებლად ყოველს ებრაელს ნიშანი უნდა დაედო თვისის სახლის კარისათვის დაკლულ კრავის სისხლითა. პირმშოთა გაწყვეტამ აიძულა ფარაონი რამზესი გაენთავისუფლებინა ებრაელები აღთქმის ქვეყანაში წასასვლელად. ებრაელებს წინადვე გამოცხადებული ჰქონდათ, გამოსვლის წინა საღამოს დაეკლათ თვითეულს თითო უნიშნო კრავი, შაეწვათ მთლად და შეეჭამათ. რომელ ოჯახშიაც ორისა და სამის მეტი ადამიანი არ იყო და ვერ შესძლებდნენ კრავის შეჭმას, უნდა მოეწვიათ მეზობელი, რომ სულ გაეთავებინათ, არაფერი არ დაენარჩუნებინათ. განთიადისას უნდა ჩაეცვათ საგზაო ტანთსაცმელი, აეღოთ ხელში კვერთხი და მზად ყოფილიყვნენ გასამგზავრებლად შორის გზისა.

დღემდე ასრულებენ ასე ებრაელნი პასექსის დღესასწაულს; მათ პასექსის სუფრაზე უხაშო პური ჰნიშნავს სიჩქარეს ეგვიპტიდან გასვლისას, ხოლო მწარე მწვანილი იმ მწვავე და ტანჯვის ცხოვრებას, რომელიც ჰქონდათ ებრაელებს ეგვიპტის ყრმობაში.

ახალ აღთქმის ეკკლესიაში პასექსი თვით იესო ქრისტეა და მორწმუნე მისის მკვდრეთით აღდგომისა ქრისტეანი, უარ-მყოფელი ებრაელების საიდუმლო ადათისა, აძლევს პასექს მნიშვნელობას სასიხარულო დღესასწაულისას. რასაკვირველია, დიდი დრო გავიდა, ვიდრე პასექსმა მიიღო სრული ქრისტეანული ხასიათი, ძველ დროს ქრისტიანენი ბევრჯელ ასრულებდნენ ურიულს ჩვეულება-ადათს; შუა საუკუნეშიც-კი ხალხი ხშირად წარმართულ ჩვეულების ელ-ფერს აძლევდა პასექის დღესასწაულს.

ჩრდილოეთ გერმანიაში, მაგალითად, XVI საუკუნეში არსებობდა კიდევ შემდეგი ჩვეულება: პირველ დღეს პასექისას ყველა დაბებსა, სოფლებსა და ქალაქებში, გორებსა და კლდეებზე აანთებდნენ ცეცხლს და გარშემო უვლიდნენ ალს ბავშვები და ქალები, ჰყრიდნენ ცეცხლში ხელ-სახოცებს, ისროდნენ მაღლა ჰაერში ქუდებს და გარშემო დახტოდნენ.

ქუჩებსა და მოედნებში პასექსის დღეს თამაშობდა მსახიობი, წარმომდგენელი მაცხოვრის ტანჯვისა, სიკვდილისა და აღდგომისა. სასულიერო წოდების კაცნი თვითონ აძლევდნენ დღესასწაულს სიხარულის ხასიათს.



ნახ. ნიკო ფიროსმანისა

მე-XIII საუკუნეში ეკკლესიის მსახურნი და საზოგადოდ ყმაწვილნი კაცნი დადიოდნენ ქუჩებში ჩირაღდნებით, ნაღარისა და საყვირის კვრით და აგროვებდნენ მოქალაქეთაგან შეღებილ კვერცხებს.

ძველის მცოდნენი მოგვითხრობენ, რომ კვერცხებით ერთმანეთის მილოცვა და მათი ღებვა შემოვიდა ჩვეულებად ფინიკიიდგან, სადაც კვერცხი სიმბოლოთ მიაჩნდათ მსოფლიოს შექმნისა. აღმოსავლეთის ქვეყნებში-კი კვერცხი იყო ნიშანი მთლიანობისა.

სპარსეთში ძველად ახალ-წლის დღეს სთავაზობდნენ ერთმანეთს ოქროთი დაფერილს კვერცხს. ზოგი მათგანი ძალიან ძვირად თურმე ჰღირდა, როგორც ჰმოწმობს პლინი, რომაელები ხმარობდნენ შეღებილს კვერცხებს სხვადასხვა შემთხვევაში: ღვთის მსახურებისა და ცოდვათაგან განბანის დროს.

ეგვიპტეში კვერცხი, როგორც სიმბოლო მაცხოვრის აღდგომისა, შემოვიდა ჩვეულებაში მოციქულების დროიდგან; ასე რომ, თუ დავერწმუნებით ლეგენდარულ გადმოცემას, მარიამ მაგდალინელმა, ოდეს ქ. რომს იმპერატორ ტივერისთან მივიდა, მიართვა ხელმწიფეს წითელი კვერცხი და შემდეგ დაიწყო ქრისტიანობის ქადაგება.

ამ მაგალითს მიჰბაძეს სხვა ქრისტიანებმაც. ძველის-ძველ დროის კუბოებში ხშირად უპოვნიათ კვერცხები მარმარილოს ქვისა. ჩვეულება წითელ კვერცხის მილოცვისა დღეს მთელ საქრისტიანოშია გავრცელებული.

აღდგომის დღეებში თითქმის ყველგან დიდი მხიარულება იციან ქრისტეანებმა.

იტალიაში და, უმეტეს რომში, პასექს მიეგებებიან ხოლმე თოფის სროლით და შუშხუნების აშვებით; დიდის ამბით ასრულებს ამ დღეს ღვთის მსახურებას პაპი რომისა. უზარმაზარი ტაძარი წმ. მოციქულის პეტრესი საოცნებო სურათს წარმოადგენს ამ დღეს, ისეა გაბრწყინებული და გაჩირაღდნებული, რომ ყოველივე ელვარებს და თვალსა სჭრის ადამიანს.

საბერძნეთში ყველაზედ საყურადღებო და შესამჩნევია პასექსის კრავი, რომელიც თვითოეულ ოჯახში უნდა დაიკლას. მარტო ათინაში ყოველ წლივ ჰხოცვენ 15.000, ხოლო მთელს საბერძნეთში 200.000 დაიკვლის. ლიტანიობის შემდეგ ყოველ მხრივ ისმის გრიალი თოფისა, შუშხუნების ჭახა-ჭუხი და ასე გეგონებათ, ამ ღამეს ძილი გაუქმებულიაო. ეს საყოველთაო სიხარული სამს დღეს გასტანს ხოლმე.

იაპონიაში პასექსის დღეს იციან სადღესასწაულო ლიტანიობა, ცნობილის Pasos სახელ-წოდებით. ამ ლიტანიაში ცოცხლად წარმოადგენენ ხოლმე ქრისტე მაცხოვარს და მისის ტანჯვისა, სიკვდილისა და წმინდა აღდგომის მონაწილეთა.

მღვ. სტ. გაიდოშვილი

„ივერია“, 1902 წელი, N80

„როგორ გვანან ყვავილები ქალებს"

კალენდრის ფურცელმა კიდევ ერთხელ გვამცნო, რომ მარტი დამდგარა. მარტი – გაზაფხულის პირველი თვე...

დიახ! უკვე უჩვეულოდ ლამაზი გაზაფხული გვეწვია მთელი თავისი სილამაზით და ლამაზი დღესასწაულებით – 3 მარტით და 8 მარტით.

აიკეცა ზამთარმა თავისი მძიმე, ცივი კალთები და გაზაფხულის შემობრძანებას მიესალმა. გახალისდა ბუნება, მზე უფრო და უფრო ბრწყინვალედ ანათებს, ადრე ამოდის და გვიან ჩადის. დათბა. ნაკადულებმა ჩუხჩუხი დაიწყეს.

რა კარგია გაზაფხული, რა ლამაზი, რა თბილი, რა მზიანი. გვიყვარს თბილი, ბრწყინვალე მზე.

გაზაფხულის მოსვლა ყველას გვახარებს – დიდსაც და პატარასაც, განსაკუთრებით კი – ქალბატონებს.

სუსხიან ზამთარში დაფარული გრძნობები გაზაფხულზე იფეთქებს ხოლმე. ჩნდებიან იის კონებით ხელდამშვენებული გოგო-ბიჭები, რომლებიც, ვინ იცის, რა დიდ გრძნობებს დაატარებენ.

ხშირად გამღიმებია და მიფიქრია, მაინც და მაინც მარტის თვეში რატომ აღინიშნება ქალთა საერთაშორისო დღე, მერე კი ხუმრობანარევი იუმორით გამიცია პასუხი საკუთარი თავისთვის – ალბათ იმიტომ, რომ ქალის ბუნება და მარტის ხასიათი ერთმანეთს კარგად ერგება – მარტის თვესავით ადვილად ვიცით ქალებმაც გაავდრება და გამოდარება, ზოგჯერ მარტის თვესავით ჭირვეულები ვართ, არ ვიცით, როდის ავჯანყდებით და როდის დავწყნარდებით. ესეც ისე, ხუმრობით, სინამდვილეში კი სწორედ მარტით იწყება გაზაფხული მთელი თავისი სილამაზით, მოლოდინებით, ახალი სურვილებით, სიცოცხლის დაუსრულებელი წყურვილით და ქალიც ხომ გაზაფხულივით მუდამ ლამაზია, სასურველია, ქალიც ხომ გაზაფხულივით ახალი სიცოცხლის საწყისია...

სწორედ გაზაფხულივით ლამაზი და შესაშური, დახვეწილი ღონისძიება გვაჩუქა ქალბატონებს 8 მარტს ასპინძის კულტურის ცენტრმა, რომელიც მერიის ხელშეწყობით გაიმართა, სადაც მუნიციპალიტეტის მერიის სახელით ღონისძიებაზე მოწვეულ თითოეულ მანდილოსანს საჩუქრად ყვავილები გადმოგვეცა.

ასპინძის მუნიციპალიტეტის მერმა ბატონმა როსტომ მაგრაქველიძემ ქალთა საერთაშორისო დღე მოგვილოცა დამსწრე საზოგადოებას და სრულიად საქართველოს მანდილოსნებს. შემდეგ... შემდეგ კი დარბაზში გადმოიღვარა სასიამოვნო ჰანგები...

ღონისძიების წამყვანებმა ქალბატონებს მოგვილოცეს 3 და 8 მარტი. მშვიდობა, ბედნიერება, მზე გრძელობა და დღეგრძელობა გვისურვეს, მრავალი საუკეთესო ეპითეტებით შეამკეს და...

ერთმანეთს ცვლიდნენ პატარა და დიდი შემსრულებლები. ქალბატონებს ხოტბას გვასხამდნენ, გვეფერებოდნენ, ჩვენ კი – ქალებს, ეს ყველაფერი სითბოთი და სიყვარულით გვითბობდა გულებს.

„ენძელებით ავსებულა მთები,
იის გუნდი შესევია ბაღებს,
ღიღილოებს შეუკრიათ გზები,
როგორ გვანან ყვავილები ქალებს...
მიხაკებმა შემოტყორცნეს მზერა,
ქალს და ყვავილს ვერ გაარჩევ,
ვერა..."

ისმის სცენიდან და თითქოს დარბაზში მყოფი ყველა ქალი მართლაც ყვავილს ჰგავდა, მორცხვად იღიმებოდნენ და უკრავდნენ ტაშს.

თბილი გულითა და კეთილი იმედებით ვტოვებდით ყვავილებით ხელდამშვენებულნი დარბაზს და თან მიგვყვებოდა სინანული, რომ მალე დამთავრდა ეს სასიამოვნო საღამო, თუმცა იმედს ვიტოვებდით, რომ კიდევ და კიდევ გვექნება მსგავსი და უფრო საუკეთესო შეხვედრები.

მადლობა შემოქმედებით ჯგუფს, ყველას, ვინც წვლილი შეიტანა ამ მშვენიერი ღონისძიების მომზადებაში, ასეთი ლამაზი დღე რომ გვაჩუქეს.

ნელი ლონდარიძე,
ასპინძის საბავშვო ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარი

მე და ჩემი ქვეყანა

ასპინძის მთავარი ბიბლიოთეკის ახლადგარემონტებული, თანამედროვე სტანდარტების დონეზე მოწყობილი დარბაზი მსმენელს ვერ იტევს. საანგარიშო კონფერენციას უძღვება მომსახურების განყოფილების უფროსი ბიბლიოთეკარი ნუნუ ბუჩუკური. რომელმაც საზოგადოებას გააცნო გასული წლის შედეგები და ყველა ციფრობრივი მონაცემი, კერძოდ, მკითხველთა რაოდენობა, წიგნების გაცემის მდგომარეობა, ჩატარებულ ღონისძიებებში მათი ჩართულობა და ძირითადი მიმართულებები – რა ღონისძიებები ჩატარდა საანგარიშო პერიოდში, რას მიეძღვნა ისინი, რა სახის საბიბლიოთეკო ინფორმაციული (თვალსაჩინო, ზეპირი-საგანმანათლებლო) სახეები გამოიყენეს მკითხველთა სრულყოფილი მომსახურეობისთვის. ყურადღება გაამახვილა ოთხივე სასოფლო და საბავშვო ბიბლიოთეკების მუშაობასა და წიგნადი ფონდის დაცვის საშუალებებზე, ისაუბრა ბიბლიოთეკის სამომავლო გეგმებზე. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო დამუშავების ბიბლიოთეკარმა მანანა ზედგინიძემ.

აღნიშნული კონფერენციის ძირითადი თემა იყო „მე და ჩემი ქვეყანა" (ლიტერატურული მონტაჟი), სადაც განხილული იქნა საქართველოს დღევანდელი შიდა და საგარეო მდგომარეობა, ხაზი გაუსვა მეზობელ ქვეყნებში მიმდინარე მოვლენებს და არც მიტაცებული და სხვა ქვეყნების ფარგლებში მოქცეული ჩვენი ტერიტორიები დავიწყებია, სადაც ქართული გენი ჯერ კიდევ ცოცხლობს და არასოდეს გაქრება.

ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს ასპინძის საჯარო სკოლის 5 -11 კლასის წიგნზე და სამშობლოზე შეყვარებულმა მოსწავლეებმა, რომელთაც ხმაში და მოწოდებებში იგრძნობოდა მომავლის იმედი, რომ უფლის ნებით ჩვენი ჩვენადვე დარჩება.

ღონისძიება გაამრავალფეროვნა ბექა ზედგინიძისა და ზეზვა არგანაშვილის მიერ პატრიოტულ თემაზე შესრულებულმა სიმღერებმა.

დარბაზი დალოცა ასპინძის წმინდა გიორგის სახელობს ეკლესიის მოძღვარმა მამა ზაქარიამ.

ნინო ბერიძე,
ასპინძის მთავარი ბიბლიოთეკის დირექტორი

სპორტი

მილოცავთ მილოცვებს წარმატებებს

,,საქართველოს სასკოლო სპორტული ოლიმპიადა-2025"-ის ფარგლებში ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ კორხის საჯარო სკოლის სპორტულ დარბაზში რეგიონული თამაშები სპორტის სახეობა ფრენბურთში გაიმართა.

აღნიშნულ ტურნირში მონაწილეობდნენ ასპინძის მუნიციპალურ თამაშებში გამარჯვებული სოფელ ნაქალაქევის საჯარო სკოლის გოგონათა და სოფელ ოშორის საჯარო სკოლის ფრენბურთელ ვაჟთა გუნდები.

ტურნირმა საინტერესო და დაძაბულ ვითარებაში ჩაიარა.

გოგონათა შორის პირველი ადგილი სოფელ ნაქალაქევის გუნდმა მოიპოვა, ხოლო ვაჟებს შორის მეორე ადგილი – სოფელ ოშორის საჯარო სკოლის გუნდმა.

გამარჯვებული გუნდები სამცხე-ჯავახეთის სახელით მონაწილეობას მიიღებენ ,,სასკოლო სპორტული ოლიმპიადა - 2025"-ის ზონალურ თამაშებში.

ასპინძის მუნიციპალიტეტის მერია ულოცავს სოფელ ნაქალაქევისა და ოშორის საჯარო სკოლების გუნდებს და მათ პედაგოგებს მიღწეულ წარმატებებს.

მეფუტკრეობის მხარდაჭერის პროგრამა

თუ ხართ დაკავებული მეფუტკრეობით, შესაძლებლობა გაქვთ მეურნეობის გაფართოებისათვის მიიღოთ სახელმწიფო თანადაფინანსება. პროგრამაში განაცხადების მიღება მიმდინარეობს 2024 წლის 1ოქტომბრიდან და წარმატებით ხორციელდება ასპინძის მუნიციპალიტეტშიც.

„მეფუტკრეობის მხარდაჭერის პროგრამის" მიზანია სოფლად ეკონომიკის განვითარება, კონკურენტუნარიანი და მდგრადი მეფუტკრეობის დარგის ჩამოყალიბების ხელშეწყობის გზით.

პროგრამის ამოცანას წარმოადგენს საფუტკრე მეურნეობების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, ფუტკრის მოვლა-შენახვის მდგომარეობის ნორმალიზაცია და წარმოებული თაფლისა და მეფუტკრეობის სხვა პროდუქტების ხარისხისა და რაოდენობის ზრდა, ასევე თაფლის მწარმოებლებისთვის მდგრადობის ხელშეწყობა და წარმოების მართვის პროცესების გაუმჯობესება. პროგრამის განხორციელებას კოორდინაციას უწევს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. პროგრამა ხორციელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად პოტენციური ბენეფიციარი სააგენტოში განაცხადის წარდგენის დროს რეგისტრირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ბიზნეს ოპერატორად.

პოტენციურ ბენეფიციარს საფუტკრე დარეგისტრირებული უნდა ჰქონდეს ცხოველთა იდენტიფიკაციისა და მიკვლევადობის ეროვნულ სისტემაში (NAITS).

პოტენციურ ბენეფიციარს უნდა ჰყავდეს არანაკლებ ფუტკრის 10 ოჯახი (არანაკლებ 10 სკა).

პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარი მიიღებს თანადაფინანსებას ერთი სკის ღირებულების არაუმეტეს 50%-ს, მაგრამ არაუმეტეს 70 ლარის ოდენობით.

ერთ ბენეფიციარზე თანადაფინანსება არ უნდა აღემატებოდეს 5 000 ლარს.

პროგრამის ფარგლებში არ დაფინანსდება კოოპერატივები. დასაფინანსებელი სკის მახასიათებლები და პარამეტრები:

კლიმატზე ადაპტირებული სკის სპეციფიკაცია – ლანგსტროტ რუტის სკა 10 ჩარჩო - 3 კორპუსი საკუჭნაოს გარეშე, დადან -ბლატის სკა- 10 ჩარჩო - 2 კორპუსი საკუჭნაოს გარეშე.

პროგრამის ფარგლებში განაცხადება მიიღება ელექტრონული ფორმით. რეგისტრაციისათვის ეწვიეთ ბმულს. https://my.rda.gov.ge

განაცხადის შესავსებად, პოტენციური ბენეფიციარი ან უფლებამოსილი პირი უნდა დარეგისტრირდეს ვებგვერდზე. იმ შემთხვევაში, თუ განაცხადი და წარმოდგენილი დოკუმენტები შეესაბამება პროგრამისა და პროცედურის პირობებს, პოტენციურ ბენეფიციარს გაუფორმდება ხელშეკრულება თანადაფინანსების შესახებ.

ინფორმაციისათვის შეგიძლიათ მოგვმართოთ სოფლის განვითარების სააგენტოსა და მის საინფორმაციო საკონსულტაციო ცენტრებს.

ოლღა ბერიძე,
ასპინძის საინფორმაციო -საკონსულტაციო ცენტრის წამყვანი სპეციალისტი

ინფორმაციები მოგვაწოდა ასპინძის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საორგანიზაციო განყოფილების უფროსმა ეკა კალაიჯიშვილმა

რედკოლეგია